სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას.

შაბათი, 26 ოქტომბერი, 1918 წელი.

შრომა

№ 61

გაზეთის ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.
სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакція газ. „Шрома", Баронская ул № 16.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს გაზეთზე მომუშავე ასოთ-ამწყობები თავიდან ძლიერ შეღავათიან პირობებში იყვნენ (ფულს წინდაწინ ღებულობდნენ, გაზეთზე ყოველთვის 1—2 ზედმეტი მუშა იყო) მუშების ერთმა ნაწილმა რედაქციისათვის სრულიად მოულოდნელად მუშაობას თავი მიანება: ზოგმა მათგანმა თავის ანგარიში მიიღო და რედაქციის გაუფრთხილებლათ მუშაობა მიატოვა, ზოგმა კი პირველ ნოემბრამდი ფული მიიღო და სადღაც გაიპარა. მუშების ასეთი უტიფრობის გამო, რედაქცია იძულებულია დროებით გაზეთის ნახევარი ფურცელი გამოსცეს, რისთვისაც ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე.

საქართველოში მოქმედ სოც.-რევ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში

დანიშნულია საქართველოში მოქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

მეორე ყრილობა.

დღიური წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
2. საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენებები ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

წარმომადგენლობა: ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო **წარმომადგენელს.** ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ახალი კლუბი

(საზამთრო შენობა)

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, სოციალისტ რევოლიუციონერთა გაზეთ „შრომას" ფონდის გასაძლიერებლად

გაიმართება

სიმფონიური
კონცერტი

ა. ა. ცენოვსკის ხელმძღვანელობით

მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და დრამის მსახიობნი: ბ. ბ. ზალიესკი, ვრონსკი, საბინინი, ჟანნა სეგორეცკაია, ხვანიოლი, ევგენი სერგეევა, ზარდალოვი და სხვა.

როიალთან: ა. ა. ცენოვსკი, ქ. დ. საბინ-გუს

კონფერანსიე სერ გრიფ

ამერიკული აუქციონი

პასუხისმგებელი გამგენი:
ქალ. მ. ლორთქიფანიძისა და ექიმი ი. აბაშელის.

ქ. თბილისი, 26 ოქტომბერი.

ინგლის—საფრანგეთის დიპლომატია ოსმალეთთან სეპარატიულ მოლაპარაკებას აწარმოებს, როგორც გაზეთები იუწყებიან მოლაპარაკება მალე დასრულდება. ამნაირად დღეს თუ ხვალ ცენტრალურ კოალიციას ოსმალეთიც ჩამოშორდება. ომის დროს დაკავებულ ადგილების დაცლა, ჯარის სრული დემობილიზაცია და დარდანელის სრუტეების გახსნა — ასეთია მთავარი მოთხოვნილებანი, რომლებსაც ოსმალეთს უყენებენ, ოსმალეთი იძულებული იქნება ყველა ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არა აქვს. ამნაირად იქმნება ახალი საერთაშორისო სიტუაცია.

ოსმალეთის კაპიტულიაცია ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებაა, რომელიც რევოლიუციონური სოციალიზმის თვალსაზრისით ისევე უარყოფითია, როგორც ცენტრალური კოალიციის იმპერიალისტთა გამარჯვება...

ის არ იძლევა გარანტიას, რომ დემოკრატიისა და პატარა ერების სამართლიან მოთხოვნილებებს სათანადო ანგარიშს გაუწევენ. ასეთი მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ერებს უყენებს წინ ახალსა და მეტად რთულ პრობლემებს.

ასეთ პირობებში ურთიერთშორის უთანხმოება და მტრობა მხოლოდ დამღუპველი იქნება როგორც ჩვენთვის, ისე ყველა ჩვენი მეზობლებისათვის. ეს უნდა შეიგნოს ყველამ— უნდა შევიგნოთ და საქმითაც დავამტკიცოთ...

ერობის მუშაობა.

საქართველოს რესპუბლიკაში საერობო დაწესებულებათა შემოსაღებათ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. სულ მოკლე დროში მთელი საქართველო მოიფინება სამაზრო ერობებით. ერობის დიად მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ერობის ხელში იქნება მთელი ადგილობრივი საქმიანობა. ყველაფერი ის, რასაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და რაც შესაძლებელია განხორციელდეს ერობის საშვალებით —ერობის კომპეტენციას შეადგენს, მის სამოქმედო პროგრამაში შედის.

სწავლა-განათლება, გზები, სანიტარია, სოფლის ეკონომიური აღორძინება, აგრონომიული მოქმედება და სხვა მრავალი ერობის პირდაპირი საქმეა. ერთის სიტყვით, ერობა ისეთი დაწესებულებაა, რომელმაც კულტურულათ და ეკონომიურათ უნდა ააყვაოს სოფელი.

დიდი და დაუშრეტელია ერობის სამუშაო ასპარეზი.

ერობის მუშაობა, მისი საქმიანობა დაედება საფუძვლად ჩვენ სახელმწიფოებრივობას. ერობა, თვითმმართველი ორგანოები—სახელმწიფოს ფუძეა.

თუ ერობა საღსა და მკვიდრ ნიადაგზეა აშენებული, მაშინ თვით სახელმწიფოც საღი და მაგარია. ეს არ უნდა დაივიწყონ ჩვენმა საერობო მოღვაწეებმა.

ერობა ჩვენ წინეთ არ გვქონია. ამიტომ არც საერობო გამოცდილება და არც საერობო საქმეების მცოდნე პირები მოგვეპოვება. ჩვენში არც საერობო ტრადიციაა შექმნილი აღნიშნულ მიზეზის გამო. ჩვენი ერობა—*tabula rasa* არის. გამოცდილება, ცოდნა, ტრადიციები და მუშაობისათვის საჭირო მასალები ჩვენ თვითონ უნდა შევქნათ...

ამისათვის საჭიროა, რა თქმა უნდა, იმ მასალებითაც სარგებლობა, რომლებიც დაუგროვებია თავის საერობო მოღვაწეობაში სხვა სახელმწიფოებს. მაგრამ უმთავრესი და უსაჭიროესი, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, არის ადგილობრივ ყველა საჭირო მასალების მოგროვება. უამისოდ ყოვლად წარმოუდგენელია ერობის მუშაობა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ყოველი საქმე, რომლის გაკეთებაც დაუსახავს ვისმეს მიზნათ, მოითხოვს პირობების ერთგვარ მინიმუმს, ურომლისოდაც შეუძლებელია ნორმალური მუშაობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ ამ მხარეს, როდესაც ვფიქრობთ საერობო მუშაობის დაწყებას.

საერობო მუშაობისათვის უსათუოდ საჭიროა: 1. ენერგიული და გამოცდილ პირების მოთავეობა 2. მატერიალური საშვალება მუშაობის გასაწევათ და 3. ადგილობრივ პირობების ზედმიწევნით ცოდნა.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს დღეობით არც ერთი ჩამოთვლილი პირობათაგანი არა გვაქვს. ჩვენმა საერობო მოღვაწეებმა თვით მუშაობის პროცესში უნდა აღიჭურვონ გამოცდილებით, სხვა გზა არ არსებობს.

მატერიალური საშვალება მუშაობისათვის უნდა მისცეს ერობას უმთავრესათ შეძლებულმა კლასებმა.

დღეს მშრომელი დემოკრატია ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი და ჩვენ არ შეგვიძლია მას ბევრი მოვთხოვოთ. ამიტომ საერობო ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს საერობო მუშაკებმა უნდა მიიღონ მხედველობაში ეს.

რაც შეეხება ადგილობრივ პირობების და მოთხოვნილებების ზედმიწევნით ცოდნას—ეს მუხლი სხვაზე უფრო სერიოზულია, ესაა, ასე ვსთქვათ, საერობო მუშაობის საფუძველი. მაგრამ, სწორეთ ამ შემთხვევაში ჩვენი საერობო მოღვაწეები თითქმის სრულებით მოუმზადებელნი არიან.

ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრების შესწავლასა და გაცნობისათვის ჩვენ საზოგადოებას თავი არ შეუწუხებია არც ძველი მთავრობა ზრუნავდა ამაზე. რუსეთში, სადაც საერობო დაწესებულებები 50 წელი არსებობენ, თვითონ ერობები აწარმოებდნენ სოფლის მდგომარეობის შესწავლას, აგროვებდნენ სტატისტიკურ მასალას და სხვა.

ამ მხრით რუსეთის ერობას დიდი დამსახურება მიუძღვის ხალხის წინაშე. მის მიერ შეგროვილ სტატისტიკურ მასალებს დიდი და დაუფასებელი ღირებულება აქვთ, ერობათა სტატისტიკა დიდ სამსახურს უწევს მეცნიერულ კვლევა ძიებაში. ჩვენში, სტატისტიკის საქმე, ხეირიანათ არასოდეს არ ყოფილა.

ეს საქმე უნდა მოაწყოს ერობამ. ერობა თავიდანვე შეუდგეს ადგილობრივ პირობების გაცნობას და საჭირო მასალების შეგროვებას. სანამ ერობას არ ექნება დამაკმაყოფილებელი მასალები საერობო ცხოვრების ყველა დარგიდან, მანამ მუშაობას ვერ გააფართოებს.

საერობო მუშაობის ყოველი ბიჯი უნდა იქნეს ჯეროვანათ თვალისწინებული. ყოველი გასა თებელი საქმე უნდა ემყარებო შესაფერ მასალას და საკითხის თანადო ცოდნას.

ამ მხრით ჩვენ ერობას აუარე ლი შრომა მოელის. მაგრამ შრომა აუცილებლათ უნდა იქნ ერობის ინტერესები და საერო საქმიანობა დაჟინებით მოითხო ამას.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რ ჩვენ ერობას უდიდესი მოვალეო აწევს თავზე, დიდი შრომა მოელ და დიდი ენერგიის დახარჯვა დ ჭირდება. სულ ახლათ უნდა შე ნეს ერობის დიდი და რთული ა რატი. ჩვენ ვიცით ეს და ამიტ მოვუწოდებთ ჩვენ საერობო მუშ კებს დაკვირვებულ საქმიანობისაკ

Anopheles.

მორიგი პროვოკაცია.

არა მგონია სომხის ერზე უფრ ტანჯული და წამებული ჩვენ ცო ვილიან მიწაზე კიდევ იყვეს სხ ერი.

სომხის ერის ყოფნა არყოფნ საკითხი დიდი ხანია დასვა ულმ ბელმა სინამდვილემ. ათასობით ათიათასობით სისტემატიურად ლიტებოდენ სომხები თათრებ აგა ოსმალეთმა მათი ფიზიკური მოსპ ბა სადღეისო მიზნათ დაისახა. კ ცობრიობა შეძრა იმ საშინელ ბით, რომელიც სომხობამ განიცად და ეხლაც განიცდის მუსულმანო კლანჭებში. სხვას თავი დავანებოთ მოიგონეთ ბაქოს უკანასკნელი ს შინელებანი.

ძნელი წარმოსადგენია კიდევ ი ვეს რომელიმე ორ ერთა შორი ისეთი გამწვავებული მდგომარეობ როგორიცაა სომხებსა და თათრებ შორის.

რაშია საქმე? ყოველივე მოვლ ნას თავისი მიზეზი აქვს და თათარ სომეხთა გამწვავებული მდგომარე ბაც აიხსნება შესაფერისი მიზეზ ბით. ჩვენ ვიცით, რომ სწორათ გ გებული დემოკრატიის ინტერესებ აუცილებლათ მოითხოვენ ერთა ს ლიდარობას, და ყველა ერის დემო კრატია ბუნებრივათ აქეთკენ მიილ ტვის და თუ მას ხანდისხან პროვო კაციის ქსელში გახვევენ და ჯოჯოხ თურ დანაშაულობას ჩაადენიებენ ამა ში საჯსებით პასუხისმგებელნი არიან ი ჯგუფები და პარტიები, რომლებიც ერის ხელმძღვანელობას კისრულო ბენ. სომხის ერში მუდამ დიდი გავ ლენა ქონდა და ეხლაც აქვს დაშ ნაკციუტუნის პარტიას. ამ პარტიის პოლიტიკა მუდამ შოვინისტური დ დამღუპველი იყო სომხის ერისათვის.

მან შექმნა თავისი ავანტიურის ტული მოქმედებით მოშხამულ ეროვნული ტრადიცია. პრაქტიკული ფილოსოფია გვასწავლის, რო კარგ განწყობილების შექმნას, რო გორც ცალკე ინდივიდთა შორი

ისე ერთა შორის თვალსაჩინო დრო უნდა, მისი დარღვევა კი ერთი შემცდარი ნაბიჯით შეიძლება. ეს მარტივი ჭეშმარიტება „დაშნაკციუტუნის“ პარტიას ვერ შეუგნია. აღსანიშნავია უკანასკნელი მისი დამოკიდებულება ჩვენდამი.

ქართველ ერს ბევრჯერ განაწამები ყოფა ქონია მეზობლებისაგან, მაგრამ მათ მიმართ არასოდეს არ დადგომია იმ ტაქტიკას, რომელიც გამოიხატება სიტყვებში: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. მიუხედავათ ყოველივე ამისა, დაშნაკციუტუნი ჩვენ შესახებაც განაგრძობს მისთვის ჩვეულებრივ, ყოველივე საღ მოსაზრებას მოკლებულ ტაქტიკას. იმ შხამმა, რომელსაც ის ჩვენა და სომხის ერს შორის ანთხევს, შესაძლოა გამოიღოს შესაფერისი ნაყოფი და სომხის დემოკრატია მორიგ პროვოკაციის ქსელში გააბას და ჩვენს წინააღმდეგ უგნური ნაბიჯები გადაადგმევიოს. მე მწამს ქართველი დემოკრატიის გონიერება და წინდახედულება, ის არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელნიც შელახავენ მის ბრწყინვალე სახელს. მაგრამ სიმახინჯე მაინც სიმახინჯეთ დარჩება და დაშნაკციუტუნი პოლიტიკა ისტორიაში ბნელი პოლიტიკის სახელით ჩაეწერება.

თუ რას წარმოადგენს დაშნაკციუტუნის პარტია და რომ მაზე უფრო დიდი მტერი სომხის ერს არასოდეს არ ყოლია და არც ეყოლება—ამას დავინახავთ იმ წერილიდან, რომელიც დასტამბულია ხსენებულ პარტიის ორგანოში „ორიზონში“. აი რას სწერს ეს გაზეთი:

„საქართველოს „მესოპოტამია“ განაგრძობს ყოველ დღე საწყალი, დევნილი სომხის ხალხის წრიდან ასობით მსხვერპლის შეწირვას. გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ თავისუფალ საქართველოში იმ გვარათვე იჟლიტება სომხის ხალხი, როგორც ის იჟლიტებოდა სისხლიანი სულთანის სამშობლოში, სადაც სომხის ხალხი ახლაც იღუპება. დახვრეტის, ჩამოხრჩობის, ჟლეტისა და დარბევის ნაცვლათ, სომხის ხალხს განადგურების საძაგელი ახალი ფორმა არგუნეს. ყოველ დღე ათობით და ასობით მარხავენ უმწეო მსხვერპლთ, რომ გაადვილონ სომხის ხალხის განადგურების საქმე და თან შეინარჩუნონ „სინდისის სიმშვიდე“ კაცობრიობის უდიდესმა ჯალათებმა მოიგონეს ეს ჯოჯოხეთური ფორმა „მშვიდობიანი ჟლეტისა“, რითაც ადვილათ და დაუსჯელად გადაქციეს ჩვენი მშვენიერი სამშობლო უდაბნოთ. გამხეცებული ადამიანის სინდისი ძიერეკება მთელ ქარავნებს ტიტველი, მშიერი, უბინაო, ავადმყოფი და ქანც გამოლეული ცოცხალი ლეშებისა ახლო და შორეულ ადგილებში და იქ ყოველგვარ საშუალებას აძლევენ, რომ „მშვიდათ“ დაიღუპონ.

მესოპატამია, ერზერუმი, ბაკურიანი, წალკა, მე-300 ვერსის სადგური, აი ის გადასახლებელი ადგილები, სადაც გარეკეს საწყალი სომხის ხალხი და დაუხვრეტავად ასობით და ათასობით საფლავისაკენ ისტუმრებენ. მაგრამ ის, რაც გასაგები და ბუნებრივი იყო ბარბაროსთა ქვეყანაში სისხლიან და გახრწნილ ოსმალეთში, შესაძლებელი და მოსათმენია გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში? განა აზიის პატრონთა თალაათის, ენვერის და შეკეთის აზრები და ზრახვანი შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივად და სამართლიანად იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს სათავეში უდგანან დღეს ხალხის საუკეთესო შვილები, რომელთაც ჰმოსავს სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის და რევოლიუციონერობის ლამაზი სამოსელი. და განა ჩვენ, რომლებიც ჩუმნი და უღონონი ვიყავით ოსმალეთის წინაშე, შეგვიძლია გადვიტანოთ ბოროტმოქმედება იმ ქვეყანაში, რომელმაც განათლებულ კაცობრიობას კაცთმოყვარეობის და კულტურულობის თამასუქები მისცა? რას ფიქრობენ და რა ღონისძიებას ღებულობენ საქართველოს პარლამენტის სომეხი დელეგატები იმის გამო, რომ საქართველოს „მესოპოტამიაში“ იღუპება საწყალი სომხის ხალხი. რა ფორმით და რა სახით სურთ მათ შეუთანხმონ საქართველოს პარლამენტის წევრის სახელწოდება ყველა იმას, რაც მათ გამგზავნელ ხალხს თავს ატყდება? განა შეიძლება მშვიდათ შემოქმედებითი მუშაობა იმ ქვეყანაში, რომლის თანხმობით და ნებართვით საკონცენტრაციო ლაგერებში თხრიან საფლავებს სომხის ხალხისთვის? რას ფიქრობენ სომეხი დეპუტატები ამის შესახებ? ჩვენ ველით პასუხს“!

ხაზი.

დეპეშები

ბერლინი. 20 ოქტ. ქ. სოფიის ქუჩებზე ნამდვილი ბრძოლა იყო ბოლშევიკებსა და მთავრობის ჯარისკაცთა შორის. მოკლულია 3000 კაცი. გაზ. „ფორვერტსის“ ცნობით ბულგარეთში დაარსეს საბჭოები.

ბერლინი. 21 ოქტ. გაზ. „ფორვერტსის“ ცნობით სერბიაში მუშათა და გლეხთა საბჭოები მოქმედებენ. ხალხი აჯანყებას აპირებს. იმართება ხშირი მანიფესტაციები ზავის სასარგებლოთ.

ბერნი. 21 ოქტ. პორტუგალიაში ახალი მინისტრები აირჩიეს. მთავრობა პარლამენტარულ წესწყობილებას იღებს, რომელსაც მონარქისტული წრეები წინააღმდეგობას უწევენ.

ვენა. 21 ოქტ. პრაგაში მოხდა პოლონეთის ნაციონალურ კომიტეტის მრავალრიცხოვანი კრება. ქუჩებში შეიარაღებული ჯარი სდგას. დღემშვიდობიანათ ჩაიარა. ავსტრიაში იმართება სხვა და სხვა ერთა მასსიური კრებები. დაარსდა ავსტრიელ. გერმანელთა საბჭო, რომელიც მოითხოვს ავსტრიელ-გერმანელთა დამოუკიდებლობას.

ვენა. 21 ოქტ. სურსათის კრიზისის გამო ვენაში დაარსეს სასურსათო საბჭო.

ბერლინი. ზავის საქმე. ინგლისის და საფრანგეთის პრესა ჰკიცხავს გერმანიის უკანასკნელ ნოტას.

ბერლინი. 22 ოქტ. პანგერმანელები სცდილობენ აამხედრონ ხალხი ზავის წინააღმდეგ. გამოსცეს შესაფერი მოწოდება.

ჰააგა. 20 ოქტ. გაზ. „ნიუ-კურანტის“ გადმოცემით დროებითი ზავის ჩამოგდების პირობათ გერმანიის ჯარის რეინს იქით გადაყვანას სთვლიან.

ბერნი. 20 ოქტ. მილანში ჯარისკაცებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს ზავის სასარგებლოთ.

ბერლინი. 21 ოქტ. წარსულ ღამეს გერმანიიდან შვეიცარიაში გაიგზავნა ვაშინგტონში გადასაცემათ საპასუხო ნოტა. ფრონტზე იგზავნება ნეიტრალური კომისია, რომელიც ბრიუსელში მცხოვრებთ ნეიტრალურ სახელმწიფოთა მცხოვრებთაგან შესდგება. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, რამდენად მართალია ხმები თითქო გერმანიის ჯარი უკანდახევის დროს სწვავდეს და ანადგურებდეს სოფლებს. კომისიის ხელმძღვანელობა იკისრა ბრიუსელში მყოფმა ელჩმა ბარონ ფონ-დერ-ლანკენმა.

ბერლინი, 22 ოქტ. კარლ ლიბკნეხტი ციხიდან გაანთავისუფლეს.

ახალი ამბავი.

— კონცერტი. კვირას 27 ოქტომბერს, დღის 12 საათზე სახელმწიფო თეატრში კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით გაიმართება ქართულ-გერმანული სამხედრო მუსიკის სანიმუშო კონცერტი. კონცერტის პროგრამაში შედის ქართული ეროვნული ჰიმნი.

დასასრულ დაიდგმება აპოთეოზი: ცხოველი სურათის სახით აღიმართება თავისუფალი საქართველოს ძეგლის პროექტი.

❀ ლოტო. მთავრობის ნებართვით მეორე ქართულ კლუბში დღეს 25 ოქტომბერს და ხვალ 26 ლატარეის სასარგებლოთ გაიმართება ლოტო. საზაფხულო ბაღში დაუკრავს გერმანელების სამხედრო ორკესტრი.

❀ ყარაბაღი. ათი დღის წინად ოსმალებს სტამბოლთან ბრძანება მოუვიდა ყარაბაღის დაცლის შესახებ. ეს ბრძანება შედეგია სომხეთის საზავო დელეგაციის შუამდგომლობის.

❀ ჩხრეკა. ღენ. მაზნიაშვილის ბინის გაჩხრეკის დროს, რომელიც მოხდა მისი თხოვნისამებრ არავითარი საგანი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ყველა აღმოჩენილი ბინაზე სანოვაგე თუ სხვა ნითები შეადგენდენ მის საკუთრებას და იმდენს რაც საჭიროა ოჯახურ საჭიროებისათვის და შეძენილი იყო კანონიერის გზით, რის გამო ყველა ნივთები დაპრუნებულ იქმნა კუთვნილებისამებრ.

— საალყო წესი ბორჩალოს მაზრაში. ბორჩალოს მაზრაში საზღვრების სომეხთა ნაწილებისაგან გამოლახვის გამო საქართველოს მთავრობამ საალყო წესი გამოაცხადა.

— ღენერალ-გუბერნატორი ბორჩალოს მაზრაში. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში ღენერალ ღუბერნატორათ დაინიშნა ღენერალ მაიორი წულუკიძე.

— მკვლელობა, ცარცვა-ქურდობა. 24 ოქტომბერს, დღის 2 საათზე ანდრეევის ქუჩაზე ი. ბატონაშვილის სასადილოში შევიდა ვინმე მძებროვი, უმიზეზოთ გაისროლა რევოლვერი და გაიქცა. როდესაც მძებროვს იქვე მყოფი მილიციონერები გამოედევნენ შესაპყრობათ, მან რევოლვერი მათაც ესროლა. მილიციონერებმა სროლითვე უპასუხეს და მძებროვი მოჰკლეს.

— 23 ოქტომბერს, დღის 11 საათზე, ტატკოვის ქვრივის ბინიდან (კოჯორის ქუჩა, № 9) ქურდებმა მოიპარეს 25 გირვანქა ფქვილი.

— 24 ოქტ. საღ. 4 საათზე, სასახლის ქუჩაზე ფლისის ოქრომჭედლის მაღაზიაში შევიდა სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი. მაღაზიაში მყოფებს ყველას ხელ-ფეხი გაუკრეს და მთელი სახელოსნო გაცარცვეს. წაიღეს მრავალი ძვირფასი საქონელი, რომლის რაოდენობა გამოურკვეველია.

— მიწათ მოქმედების მინისტრი ატყობინებს გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ გერმანიის რაზმმა მისდა დაუკითხავად დაიკავა სამინისტროს შენობის ბატანიკურ ბაღის ფიზიოლოგიური განყოფილება, რისთვისაც სთხოვს გამოარკვიოს გერმანელების თვითნებობა.

— ქალაქთა კავშირის გამგეობამ მიმართა თხოვნით სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს ჯამალიანს მისცეს კავშირს სომხების რესპუბლიკის ჯამიდან 700 ათასი მანეთი. რის სამაგიეროთ კავშირი პირდება ჯამალიანს მიყიდოს სომხეთის რესპუბლიკას ქალაქთა კავშირის განკარგულებაში მყოფი განსაზღვრული საქონელი.

საბჭოთა რუსეთში.

(წერილი რუსეთიდან)

რუსეთის აღდგენა.

დღეს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ რუსეთის აღდგენა და მისი ფეხზე დაყენება შეუძლებელია საკუთარი ძალებით. რუსეთის შეგნებული დემოკრატია, ის დემოკრატია, რომელიც ბოლშევიზმში ხედავდა რუსეთის დაღუპვას, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ უძლური შეიქნა მასთან ბრძოლაში. ბოლშევიკების გამარჯვების პირველ ხანებში, განსაკუთრებით, რუსეთის დემოკრატია დაფრთხა, დაიბნა და თითქმის იმედი დაკარგა როგორც რევოლიუციისა ისე თავის ძალებისაც. რასაკვირველია, სულით ძლიერი ელემენტები არ სცხრებოდენ, გულს არ იტეხდენ და მთელი თავისი ენერგიით სცდილობდენ ხალხის ხელახლა ამოძრავებას, მის მომართვას ანტი-ბოლშევიკურათ, მაგრამ ეს ცდა რუსეთის საკუთარი ძალებით აღდგენისა, ცდა საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების და დამფუძნებელი კრების ფრონტის გაშლისა—ფიასკოთი თავდებოდა. ამ თავგანწირულებას შედეგათ ჰყვებოდა მხოლოთ სისხლის ღვრა, მხოლოთ დემოკრატიის შეგნებული ნაწილის ჟლეტა, საუკეთესო ბელადების დახვრეტა და წამება. ხსნა არსად იყო. და რუსეთისადმი სიყვარულით გატაცებულმა მოწინავე ელემენტებმა ძებნა დაუწყეს ახალ ძალას, გარეშე ძალას რომელიც მას დახმარებას გაუწევდა. ცხადი შეიქნა, რომ თუ რუსეთის აღდგენის საქმეებში არ ჩაერია გარეშე ძალა—ისე ეს აღდგენა შეუძლებელია.

ორიენტაციები.

და სწორეთ ამ ხანებში შეიქნა ორიენტაციების ძიება. ყველა სოციალისტური და არა სოციალისტური პარტიები ლამობდენ გამოენახათ უცხო სახელმწიფოებთან საერთო ენა რუსეთის აღდგენის საქმეში. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ თავიდანვე აღიარა შეთანხმების სახელმწიფოების ორიენტაცია (ინგლის-საფრანგეთის). თქვენამდისაც მოაღწევდა ამბავი, რომ ასე არ მოხდა, მაგ., კადეტთა-პარტიაში. ეს პარტია თავიდან მერყევ პოლიტიკას დაადგა და ამით ძლიერ დასცა თავისი ავტორიტეტი, როგორც რუსეთში ისე საზღვარ-გარეთ. მოგეხსენებათ, რომ ამ პარტიის მეთაური და ბელადი მილიუკოვი ხან გერმანიისკენ იხედებოდა, ხან მორცხვათ იწევდა შეთანხმების სახელმწიფოებისაკენ.

ჩეხო-სლოვაკები.

ერთი იმ გარეშე ძალთაგანი, რომელზედაც გადაეხვია რუსეთის აღდგენის იდეა—იყო ჩეხო-სლოვაკების ჯარი. ამ ჯარზე ბევრი რამ დაიწერა და ითქვა, ასე რომ მის ორგანიზაციაზე მე არას ვიტყვი. აღსანიშნავია მხოლოთ, რომ იდეური საძირკველი ამ ძალას რუსეთში ჩაეყარა—ქალაქ სამარაში. ჭამ მხრივ რუსეთის აღდგენის საქმეში შეიძლება სამარამ ისეთი როლი ითამაშოს, როგორც ნიჟნი-ნოვგოროდმა „სმუტნოე ვრემას“ დროს. სამარაში, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მოქმედების ასპარეზზე უცბათ ამოცურდა დამფუძნებელი კრების წევრთაგან შემდგარი კომიტეტი ესერების მეთაურობით. უნდა აღინიშნოს რომ იმ დროში სამარა ესერთა არალეგარული მუშაობის ცენტრათ იყო გადაქცეული. დადგა დრო და ეს არალეგალური პარტიული არმია ლეგალურათ ამოძრავდა, პირველ დროს კომიტეტში ხუთი კაცი იყო. მათ შორის სამი ესერი, ერთი კადეტი და ერთი მენშევიკი. წევრთა შორის იყო ცნობილი ესერი ფორტუნატოვი, რომელმაც ამ ორგანიზაციის შექმნაში დიდი ენერგია და სიმტკიცე გამოიჩინა.

დამფუძნებელი კრების ფრონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარაში ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ დაიწყო ხალხში ფართო აგიტაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ აამოძრავა მთელი თავისი ძალები. ვოლგის ორივე სანაპიროებზე გაჩაღდა ცხოველი მუშაობა. ხალხი გატყდა, ამოძრავდა და ერთხმათ დადგა ამ პარტიის დროშის ქვეშ. ამ დროს არხანგელსკში დაიწყო მოკავშირეთა დესანტების გადმოსხმა. ინგლის-საფრანგეთის ჯარები მოიწევდენ სამხრეთით. ჩეხო-სლოვაკები და ესერთა პარტიის მიერ შემდგარი ჯარი—მოძრაობდა პოვოლჟიეში, უწევდა შუა გუბერნიებამდი და ურალის ქალაქებს ემუქრებოდა. იმ დროს, როცა მოკავშირეთა ფრონტი გაიშალა ჩრდილოეთით პეტროზავოდსკიდან მდ. სვირამდე, შემდეგ აღმოსავლეთით ქალ. უფას უახლოვდებოდა—სამარის ჯარი, მეორე მხრივ, ფართო ფრონტით მიდიოდა უფაზე, მოძრაობდა სიმბირსკის რაიონში და ვოლგაზე და ლამობდა კავშირის დაჭერას ალექსეევის ჯართან. სამარაში თანდათან ძლიერდებოდა დამფუძნებელი კრების დამცველი ჯარები. იქ უკვე შესდგა რამდენიმე პოლკი ორენბურგის ყაზახთა ჯარისა, რამდენიმე ურალის ყაზახებისაგან. სოფლებიდან მოდიოდა მრავალი მოხალისე „ფრონტოვიკები“, რომელთაგანაც სდგებოდა ახალი ჯარი, ახალ სისტემაზე. ვინაიდან აქ უკვე აღარ იყო საშიშროება—ჩეხო სლოვაკები ციმბირისკენ გაეშურენ საბრძოლველათ.

წითელი ჯარი.

პეტროგრადი გზავნიდა თავის წითელ ჯარს მოწინააღმდეგებთან საბრძოლველათ. აღსანიშნავია ეხლანდელი შემადგენლობა ამ ჯარის. ის ამჟამათ შესდგება უმეტესათ საზოგადოების ნაძირალებისაგან, არც შეგნებული მუშა, მით უმეტეს ინტელიგენცია იქ არ ეწერება. ყველა მათგანი სცდილობს როგორმე მეტი იყაჩაღოს, მეტი „ნადავლი“ იშოვოს და „საბჭოთა რესპუბლიკა“ და სოციალიზმი, როგორც იტყვიან, ფეხებზე კიდიათ. ამ ჯარს დიდი მტრული განწყობილებით ხვდება ყოველთვის ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა. არავითარი მორალური ფასი მას არა აქვს. ბრძოლაშიაც მხდალნი და გამოუსადეგნი არიან, რადგან თავის ჭკუით მოქმედობს ყველა და საერთო გეგმაში შეაქვთ ანარქია.

ჯარის შემადგენლობა.

ამ ბოლშევიკურ ჯარებში წინეთ შედიოდა მრავალი ინტელიგენტი და მუშა. ეხლა ეს აღარ არის, და მთავარი კონტინგენტი საბჭოთა ჯარებისა შესდგება არა რუსებისაგან. სჭარბობენ ჩინელები, რომელნიც ამბობენ, რომ ვიბრძვით „სოციალიზმისათვისო“ ნაწილი ლატიშებისა, და საზოგადოების ნაძირალები „თავზე ხელ აღებული“. ხალხი.

საბჭოთა მთავრ. ძლიერება.

როცა კაცი ითვალისწინებს, თუ როგორი ძალების პატრონია საბჭოთა მთავრობა, უნებლიეთ იბადება კითხვა—მაშ რაზე ეყრდნობა ეს მთავრობა, როგორ აქვს მას კიდევ ძალა უფლება? ასეთ კითხვას ხშირათ ბოლშევიკებიც აძლევენ თავის თავს და დღეს დღეობითათთვის ერთი პასუხი და ახსნა არსებობს. ეს არის რეპრესიები, დაუზოგავი, შეუბრალებელი და წარმოუდგენელი ხოცვა ჟლეტა მოწინააღმდეგეთა.

მუშების დახვრეტა.

როცა მაგ. მუშებმა ბოლშევიზმის შინაარსი გაიგეს, როცა ჩააკვირდენ საქმეს და მიხვდენ თუ რა მოუტანა მათ ბოლშევიზმმა—მისმა უმრავლესობამ პირი იბრუნა ბოლშევიკებისაგან. პეტროგრადის მრავალ ქარხნებში მოხდა საპროტესტო გაფიცვები, გამოსვლებიც კი. უმეტესათ ეს ხდებოდა სოც.-რევ. პარტიის მეთაურობით და აღსანიშნავია ამშემთხვევაში ბოლშევიკების სიმხეცე—მათ დახვრიტეს პუტილოვის, ობუხოვის, ალექსანდროვის ქარხნების მუშათა უმეტესობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის.

რუსთველი.

(შემდეგი იქნება)

მთავრობის სტამბა.